ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №3
2026 წლის 8 იანვარი

ხაშური

„ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 21 იანვრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 21 იანვრის №17 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 22/01/2025; 010250050.35.143.016708)

შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 ჩამოყალიბდეს ახალი დანართ №1-ის სახით (თან ერთვის).

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2026 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე — **ნინო ლიპარტელიანი**

დანართი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოები და საშტატო ნუსხა

№	რანგი	თანამდებობა	საშტატო ერთეული	საბაზისო	კოეფიციენტი	თანამდებობრივი სარგო (ლარებში)
		პოლიტიკური თანამდებობა				
1		საკრებულოს თავმჯდომარე	1	1600	4.1	6560
2		საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1	1600	3.1	4960
3		საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2	1600	2.7	4320
4		საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	1600	2.2	3520

5		საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2	1600	2.0	3200
6		საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	7	1600	1.6	2560
		აპარატი				
7	I	ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – აპარატის უფროსი	1			3200
8	II	საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – განყოფილების უფროსი	1	1600	1.6	2560
9	III	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	4	1600	1.3	2080